საქართველოს რესპუბლიკა
№206. სამშაბათი, 3 აგვისტო, 1999 წელი.

# საქართველოს კანონი

## „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

**საქართველოს** პარლამენტი ადგენს:

I. „მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №24(31), 1999 წელი) დანართში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლების ჩამონათვალს დაემატოს შემდეგი სოფლები:

163. ზედა სამება
164. ჭახათი

2. ადიგენის რაიონის სოფლების ჩამონათვალიდან სოფელი „ანი“ ამოღებულ იქნეს და ჩამონათვალი შესაბამისად გადაინომროს.

3. ასპინძის რაიონის სოფლების ჩამონათვალში სიტყვა „ზეელი“ შეიცვალოს სიტყვით „ძველი“ და ჩამონათვალს დაემატოს შემდეგი სოფლები:

11. აწყვიტა
12. გელსუნდა
13. დაბა ასპინძა
14. დამალა
15. თმოგვი
16. იდუმალა
17. ივერია
18. ნაქალაქევი
19. ნიჯგორი
20. ორგორა
21. რუსთავი
22. სარო
23. ტოლოში
24. ფია
25. ჭობარეთი
26. ხერთვისი

4. ახალციხის რაიონის სოფლების ჩამონათვალს დაემატოს შემდეგი სოფლები:

15. სვირი
16. ტატანისი
17. ტყემლანა

II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
**ედუარდ შევარდნაძე.**
თბილისი, 1999 წლის 20 ივლისი.

# საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1999 წლის 14 ივლისი ქ. თბილისი

### ახალი რედაქციით ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის გამოცემისა და ქართული ენის მანქანური ფონდის შექმნის შესახებ

1. შეიქმნას ქართული ენის მანქანური ფონდი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში, როგორც საქართველოს პრეზიდენტთან არსებულ სახელმწიფო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის საბაზო დაწესებულებაში.

2. საქართველოს პრეზიდენტთან არსებული სახელმწიფო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის 1999 წლის 13 აპრილის სხდომის №4 საოქმო გადაწყვეტილების პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესრულების მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს 1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტს დამატებით გამოუყოს 75 (სამოცდათხუთმეტი) ათასი ლარი, მათ შორის: 38 (ოცდათვრამეტი) ათასი ლარი ახალი რედაქციით ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მომზადებისა და გამოცემისათვის, 37 (ოცდაჩვიდმეტი) ათასი ლარი კი – ქართული ენის მანქანური ფონდის შესაქმნელად.

3. საქართველოს საგამომცემლო-საინფორმაციო კორპორაციამ (ვ. აბაშიძე) და პოლიგრაფიისა და საგამომცემლო საქმის სამსახურმა (ვ. რცხილაძე) გადასცენ (არაკომერციული მიზნით) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტს კომპიუტერული ტექნიკით შესრულებული და მანქანურ მატარებლებზე ჩაწერილი ყველა სახის ქართულენოვანი ტექსტების ასლები.

**ე. შევარდნაძე.**

# საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1999 წლის 15 ივლისი ქ. თბილისი

### საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თანამდებობრივი სარგოების, თანამდებობრივ სარგოზე დანამატების განსაზღვრისა და საცხოვრებელი ბინის დაქირავების ხარჯების შესახებ

1. **საქართველოს** საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თანამდებობრივი სარგოები განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე – 630 ლარი;

ბ) საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე – 610 ლარი;

გ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე – 585 ლარი;

დ) საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე – 575 ლარი;

ე) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის (პალატის) თავმჯდომარე – 560 ლარი;

ვ) საოლქო სასამართლოს კოლეგიის (პალატის) თავმჯდომარე – 550 ლარი;

ზ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს მოსამართლე – 535 ლარი;

თ) საოლქო სასამართლოს მოსამართლე – 525 ლარი;

ი) რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარე – 525 ლარი;

კ) რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე – 500 ლარი.

2. მოსამართლეებს, რომლებიც სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებენ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $85^2$ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, თანამდებობრივი სარგო განესაზღვროთ 250 ლარის ოდენობით.

3. დანამატი თანამდებობრივ სარგოზე მოსამართლედ ნამსახურობის წლებისათვის განისაზღვროს თანამდებობრივი სარგოს შემდეგი ოდენობით:

ა) 5-დან 10 წლამდე – 5 პროცენტი;
ბ) 10-დან 15 წლამდე – 10 პროცენტი;
გ) 15-დან 20 წლამდე – 15 პროცენტი;
დ) 20-დან 25 წლამდე – 20 პროცენტი;
ე) 25-დან 30 წლამდე – 25 პროცენტი;
ე) 30-დან 35 წლამდე – 32 პროცენტი;
ზ) 35-დან 40 წლამდე – 40 პროცენტი.

4. სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების ადგილის მიხედვით დანამატი თანამდებობრივ სარგოზე განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ადიგენის, ახალქალაქის, ნინოწმინდის, ყაზბეგის, ქედის, ხულოს, მესტიის, ლენტეხის, წალკის რაიონებში – 10 პროცენტი.

5. საერთო სასამართლოების მოსამართლეებს, რომელთაც შესაბამის ქალაქში ან რაიონში არა აქვთ საცხოვრებელი ბინა, საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის გამოეყოთ შემდეგი ოდენობის თანხა:

ა) ქ. თბილისში ბინის დაქირავებისათვის – 250 ლარამდე;

ბ) საქართველოს სხვა რაიონებსა და ქალაქებში – 150 ლარამდე.

6. ამ ბრძანებულებით განსაზღვრული თანამდებობრივი სარგოებისა და სამოსამართლო უფლებამოსილების ადგილის მიხედვით დანამატის ანაზღაურება მოხდეს 1999 წლის 15 მაისიდან საქართველოს 1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში.

7. ბრძანებულების მესამე პუნქტი ამოქმედდეს 2000 წლის 1 იანვრიდან.

8. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თანამდებობრივი სარგოების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 30 დეკემბრის № 726 ბრძანებულება.

**ე. შევარდნაძე.**

# საქართველოს კანონი

## „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

**საქართველოს** პარლამენტი ადგენს:

I. „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №14(21), 1999 წელი) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება და დამატებები:

1. მე-9 მუხლის მე-3 პუნქტში სიტყვები „შინაგან საქმეთა და“ შეიცვალოს სიტყვებით „შინაგან საქმეთა“, ხოლო სიტყვების „სახელმწიფო უშიშროების“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „და იუსტიციის“.

2. მე-12 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“ ქვეპუნქტი:

„თ) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უსაფრთხოების სამსახურს“.

II. ეს კანონი ამოქმედდეს „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
**ედუარდ შევარდნაძე.**
თბილისი, 1999 წლის 22 ივლისი.

# საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1999 წლის 1 ივლისი ქ. თბილისი

### ქვეყანაში სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ

„ინფექციურ დაავადებებთან ბრძოლის გადაუდებელ ღონისძიებათა გაძლიერების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 30 აპრილის №207 ბრძანებულების შესრულების მიზნით:

1. შეიქმნას უწყებათაშორისი კომისია საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს (ა. ჯორბენაძე), შინაგან საქმეთა სამინისტროს (კ. თარგამაძე), გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს (ნ. ჩხობაძე), სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს (ბ. გულუა), ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს (მ. ჩხენკელი) მონაწილეობით.

2. უწყებათაშორისმა კომისიამ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან, მხარეებში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულებთან, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან ერთად უზრუნველყოს ქვეყნის ტერიტორიაზე „ინფექციურ დაავადებებთან ბრძოლის გადაუდებელ ღონისძიებათა გაძლიერების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 30 აპრილის №207 ბრძანებულების მე-2 პუნქტით განსაზღვრული და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნის უზრუნველსაყოფად სანიტარიულ-ჰიგიენური წესებითა და ნორმებით დადგენილი მოთხოვნების შესრულების მიმდინარეობის შემოწმება და მასალების წარდგენა მთავრობის სხდომაზე განსახილველად 1999 წლის 1 ნოემბრამდე.

3. ეს განკარგულება გამოქვეყნდეს პრესაში.

**ე. შევარდნაძე.**

# საქართველოს კანონი

## „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ

**საქართველოს** პარლამენტი ადგენს:

I. „პოლიციის შესახებ“ საქართველო კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, №9, 1993 წ. მუხ. 187) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-8 მუხლის „ყ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ყ) უზრუნველყოს დაპატიმრებული პირის დაცვა და გადაყვანა საპატიმრო დაწესებულებაში“.

2. მე-9 მუხლის „ი“ ქვეპუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის წინადადება:

„პენიტენციური სისტემის რეფორმის გარდამავალ პერიოდში, რომლის ვადებს განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი ევროსაბჭოს რეკომენდაციებით, თავისი ამოცანების შესასრულებლად შინაგან საქმეთა სამინისტრო უფლებამოსილია სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დანიშნოს პოლიციის ოფიცერი“.

II. ეს კანონი ამოქმედდეს „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
**ედუარდ შევარდნაძე.**
თბილისი, 1999 წლის 22 ივლისი.

# საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1999 წლის 29 ივნისი ქ. თბილისი

### თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიების, სასამართლო კოლეგიებსა და პალატებში მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 19 აპრილის № 154 ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

1. „თბილისისა და ქუთაისის საოლქო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიების სასამართლო კოლეგიებსა და პალატებში მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 19 აპრილის №154 ბრძანებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) მე-2 პუნქტში რიცხვი „47“ შეიცვალოს რიცხვით „56“.

ბ) მე-3 პუნქტის ა) ქვეპუნქტში ციფრი „3“ შეიცვალოს ციფრით „6“.

გ) მე-3 პუნქტის ბ) ქვეპუნქტში ციფრი „6“ შეიცვალოს რიცხვით „12“.

2. საშტატო ერთეულების გაზრდა განხორციელდეს საერთო სასამართლოების შეკანახად 1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნებათა ფარგლებში.

**ე. შევარდნაძე.**

# საქართველოს კანონი

## საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

**საქართველოს** პარლამენტი ადგენს:

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (პარლამენტის უწყებანი, №13-14, 8.04.1998) 66-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უსაფრთხოების სამსახური – სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთა მიერ სამსახურის შესრულების დადგენილი წესის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულთა და ამ დაწესებულებების განლაგების ადგილზე ჩადენილ სხვა დანაშაულთა საქმეებზე“.

2. ეს კანონი ამოქმედდეს „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
**ედუარდ შევარდნაძე.**
თბილისი, 1999 წლის 22 ივლისი.

# საქართველოს კანონი

## საქართველოს საბაჟო კოდექსში დამატების შეტანის შესახებ

**საქართველოს** პარლამენტი ადგენს:

I. საქართველოს საბაჟო კოდექსის (პარლამენტის უწყებანი, №47-48, 31.12.1997) მე-3 მუხლის პირველი აბზაცი ჩაითვალოს პირველ ნაწილად, ხოლო მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-2 ნაწილი:

„2. საქართველოს სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტს უფლება აქვს, საქართველოს საბაჟო სისტემის განვითარებისა და სრულყოფის მიზნით ხელშეკრულების საფუძველზე მოიწვიოს უცხო ქვეყნის ექსპერტები“.

II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
**ედუარდ შევარდნაძე.**
თბილისი,
1999 წლის 22 ივლისი.

# საქართველოს კანონი

## „ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე

**საქართველოს** პარლამენტი ადგენს:

I. „ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1994 წ. №16 (633)), შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. კანონის სათაურიდან და ტექსტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „რესპუბლიკა“.

2. 24-ე მუხლის მე-2 აბზაცს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 წინადადება:

„საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების ორგანოების თანამშრომლებს“.

II. ეს კანონი ამოქმედდეს „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
**ედუარდ შევარდნაძე.**
თბილისი, 1999 წლის 22 ივლისი.

# საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1999 წლის 29 ივნისი ქ. თბილისი

### ზ. მებონიას სოხუმის რაიონულ სასამართლოში მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

**დაინიშნოს** ზაურ მებონია სოხუმის რაიონულ სასამართლოში მოსამართლედ 10 წლის ვადით.

**ე. შევარდნაძე.**

# საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1999 წლის 20 ივნისი ქ. თბილისი

### ჯ. გვაგვალიას ქალაქ სოხუმის სასამართლოს მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლების და სოხუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ

1. საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის და $86^1$ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ქალაქ სოხუმის სასამართლოს მოსამართლე **ჯემალ გვაგვალია** 1999 წლის 15 მაისიდან გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან.

2. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $85^2$ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად **ჯემალ გვაგვალიას** დაეკისროს სოხუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება.

**ე. შევარდნაძე.**

# საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1999 წლის 1 ივლისი ქ. თბილისი

### შ. შაველაშვილისათვის სამოსამართლო უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $85^2$ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე **გულნარა ლიპარტელიანის** დანიშვნასთან დაკავშირებით **შალვა შაველაშვილს** შეუწყდეს ბოლნისის რაიონული სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილება.

**ე. შევარდნაძე.**

# საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1999 წლის 1 ივლისი ქ. თბილისი

### ლ. ყუფარაძისათვის სამტრედიის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $85^2$ მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად სამტრედიის რაიონული სასამართლოს მოსამართლეს **ლუიზა ყუფარაძეს** დაეკისროს სამტრედიის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება.

**ე. შევარდნაძე.**

# საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1999 წლის 20 ივნისი ქ. თბილისი

### ა. ჭანტურიასათვის ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $85^2$ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად **ავთანდილ ჭანტურიას** დაეკისროს ჩხოროწყუს რაიონული სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება.

**ე. შევარდნაძე.**

# საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

1999 წლის 1 ივლისი ქ. თბილისი

### ა. ჩობანიანისათვის ნინოწმინდის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების დაკისრების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $85^2$ მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად ნინოწმინდის რაიონული სასამართლოს მოსამართლეს **არარატ ჩობანიანს** დაეკისროს ნინოწმინდის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება.

**ე. შევარდნაძე.**

# საქართველოს კანონი

## „საქართველოს 1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე

**საქართველოს** პარლამენტი ადგენს:

I. „საქართველოს 1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №10(17), 1999 წელი) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

1. მე-13 მუხლის პირველ პუნქტს ბოლოში დაემატოს შემდეგი შინაარსის წინადადება:

„(გარდა სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის 1944 წლის 7 ივლისის №6139 დადგენილებისა და მის საფუძველზე საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის (ბ) 1944 წლის 21 ივლისის ერთობლივი დადგენილებით ამიერკავკასიაში მშენებარე მეტალურგიული ქარხნის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის მიზნით სამხედრო მობილიზაციით გაწვეული, 1926 წელს დაბადებული მეტალურგებისა“).

2. კანონის მე-5 დანართის „ხარჯების“ განყოფილების – „ომის მონაწილეებთან გათანაბრებული პირების პენსიების“ სტრიქონის გასწვრივ რიცხვი „8400“ შეიცვალოს რიცხვით „8460“; სტრიქონის – „შრომის საერთო სტაჟის მიხედვით დანიშნული პენსიების“ გასწვრივ რიცხვი „128906“ შეიცვალოს რიცხვით „126906“; სტრიქონის – „დახმარებები ავადმყოფობის დროს, დახმარებები ორსულობაზე და მშობიარობასთან დაკავშირებით, დახმარებები დროებითი შრომისუუნარობის დროს“ გასწვრივ რიცხვი „4000“ შეიცვალოს რიცხვით „5940“.

3. კანონის მე-9 დანართის მე-6 სვეტის მიმართ შენიშვნის მე-40 სტრიქონი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„150 ათასი ლარი ამბროლაურის რაიონში მიწისძვრის შედეგად დანგრეული ქ. ამბროლაურის პირველი სკოლის მშენებლობისათვის“.

II. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
**ედუარდ შევარდნაძე.**
თბილისი, 1999 წლის 22 ივლისი.

